თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5782561

ნომერი: AR1874022

თარიღი : 24.01.2022

გაცემის თარიღი : 31.01.2022

გაცნობის თარიღი : 31.01.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ. ; ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ქაფიანიძე პ/ნ 01011008250
- ქ. თბილისი, ილ.ჭავჭავაძის გამზირი 49ბ, ოფისი 1

ორგანიზაცია:

- შპს "ხეივანი" კოდი: 405310499

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5762976 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 24 იანვარს №AR1874022 განცხადებით მომართა ირაკლი ქაფიანიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5762976 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ერთ-ერთი ეტაპის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5762976 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.009.654 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5762976 ბრძანებაში, ეტაპების ნაწილში, დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, არასწორად იქნა დაფიქსირებული მე-4 ეტაპი (შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა). შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას და აღნიშნული ეტაპის ბრძანებიდან ამოღებას.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2021 წლის 29 დეკემბრის №AR1870438 განცხადებით წარმოდგენილ კალენდარული გრაფიკი მსგავსი სახის ეტაპს: „შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა“ არ ითვალისწინებს. თუმცა, აღნიშნული ეტაპი ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად დაფიქსირდა სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5762976 ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5762976 ბრძანებაში მე-4 ეტაპის მითითებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5762976 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტიდან ამოღებულ იქნას შემდეგი შინაარსის მე-4 ქვეპუნქტი:„4) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5762976 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 18 იანვრის №5762976 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.